

მწყველი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაპატივის ცხოვართათვის. იათ. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 19

1883—1897

15 ოქტომბერი

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|-----------------------------|----------------------------|
| „მწყემსი“ | „მწყემსი“ რუსული გამოცემით |
| 12 თვით . . . 3 მან. | 12 თვით . . . 5 მან. |
| 6 — . . . 2 — 6 — . . . 3 — | |

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით:
Bis Kewepi.m, აა ჩემაკით „Mikemci“ უ „Pastvarev“.

ფრიად სასიხარულო ამბავი.

ვინც ჩვენს ეხლანდელი დროის სამღვდელოების და საზოგადოდ სასულიერო წოდების მდგომარეობას თვალს გადაავლებს, ვინც გარგებდ ჩაუკვირდება ჩვენი ეხლანდელი დროის ვითარებას და საზოგადო ასპარეზზე მუშავთა შემცირებას, რასაკვირველია, გული მწუხარებით აევსება და იმედს დაკარგავს ჩვენს მომავალზე. ეოველის მხრით ვაისმის მწუხარება

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქნებან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ერულად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თოვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებან.

და ჩივილი, რომ აღარა გვეხვდეს ნასწავლი პირები შავ სამღვდელოებაში, აღარავინ აცხადებს სურვილს ბერად წასვლისას ნასწავლთაგანებიო! ჩვენი მონასტრები, რომელთა წეალობით ჟემბარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოება და ზნეობა მთელ მხარეს ეფინებოდა და ხალხის გულში მაგრად ფეხებს იდგამდა, დღეს, თითქმის, ცარიელდებან. იმ მონასტრებში, სადაც წინათ დვორის გალობა-ლადადების ხმა

ურველ მსმენელს გულს უტკბობდა და ამათ ამ ქვეუნიერობის მწუხარებას უქარებდა, იქ დღეს ერთად-ერთი შედაფითის გალობის ხმა ისმის მარტო და ისც, ღმერთმან უწეის, რა კილო-სია! ამაების შემხედვარეს, რასაკვირკველია, გუ-ლი გიწუსს და სასორწარკვეთილებას ეძლევი. მაგრამ ეს უკანასკნელი დრო რაღა-ცა წალმა მობრუნდა ჩვენთვის. ჩვენ დაუვიწ-უარ მწევმს-მთავართა მაგალითს წაბაძეს რამ-დენიმე პირებმა და გამოვიდენ ქრისტეს უანაში სამსახურებლად, ოოგორც მაგალითებრ არქი-მანდრიტი ლეონიდი, იღუმენი კირიონი და მდვდელ-მონაზონი დიმიტრი. ესლა ჩვენ მი-ვიღეთ ფრიად სასისარულო ამბავი უაზანის სასულიერო აკადემიდან. ამ ჯადემის სტუ-დენტი ევთიმე აქტორპირის მე კაჭაშიმე უპე-აღგვეცილა ბერად. ჩვენს გამოცემაში დაბეჭ-დილი მისი სტატიებიდან კარგად იცნობენ ჩვენი მკითხველები ექ. გაჭაშიმეს, თუ ვინ არის ივი, რა მისართულების და რა დრმა ზნეობის ზარიონია. თუ ოდესმე იურ საჭირო ჩვენთვის ჭეშმარიტი ქრისტიანობრივა ზნეობით და მტკიცე სარწმუნოებით აღჭურვილი კაცი, სწორეთ ესლა არის საჭირო. ჭეშმა-რიტად ამისითანა კაცების შეძენა ეხლანდელ დროში ჩვენი სასულიერო წოდებისათვის ფრიად შესანიშნავი და სასისარულოა. ღმერთო, მოქედე საქართველოს ერს და მთაუნერგე შენი მსახურება უმჯობეს მის შეიღებს და წუ მო-იმულებ დგომის-მშობლის წილზდომილს, ივე-რიას!

დეკ. დ. ღამბაშიძე

მაძლამ თა დაიმიტე შესას უფრო ართობის
ართო მეტა მეტა მეტა მეტა მეტა მეტა მეტა
ას მეტა მეტა მეტა მეტა მეტა მეტა მეტა მეტა

ადამიანის ანსებობის მიზანი

რისთვის არის ადამიანი შექმნილი, რა არის მისი უმთავრესი დანიშნულება, რა მოითხოვება მისგან, -აი კითხვები, რომლებიც აუცილებლად უჩნ-დება ადამიანს თვის მდგომარეობის განსჯის დროსა. სისწორით პასუხის მიცემა ამ კითხვებზე ფრიად სა-ჭიროა, ვინაიდგან ასეთს თუ ისეთს შეხედულებას ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს კაცის მოქმედებაზე, ის ხდება მის სახელმძღვანელო პრინციპად, ის აძ-ლევს ამა თუ იმ ფერს მისს ცხოვრებას, მისს საჭ-ციელს მის მომენტთან და მისგან (შეხედულებისგან) დამოკიდებულია ბედნიერების მოპოვება. ამის გამო, უკვე ადამიანს, რათა იგი გახდეს კაცი და ბელნი-ერებას მიაღწიოს, გათვალისწინებული უნდა ქონდეს თვის არსებობის მიზანი. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ის სატირალი მოვლენა, რომ ქრისტია-ნეთა უმრავლესობას თვის დანიშნულებაზე არავითა-რო შეხედულება არა აქვს, ის ჩაფლულია უკველ-დლიურ ჭვეყნიურ ზრუნვაში და სრულებითაც არ სჯის, არ ფიქრობს თვის დანიშნულებაზე. ამის გამო, მისი ცხოვრება არის უფერული, უაზრო, უშინარ-სო, და მის მოქმედების განხილვის დროს უნებლიერ გებადება კითხვა, შეიძლება ჩაითვალოს მისი ცხოვ-რება გონივრულ, კაცის ღირსების შესაფერ ცხოვ-რებად? ზოგს აქვს შეხედულება ადამიანის დანიშნუ-ლებაზე შედგენილი საღმრთო წერილის სიტყვები-სამებრ, გარნა მათი შეხედულება მუდამ არ არის ნამდვილი, სავსებითი, ამისთვის მათი შეხედულება ძალის და სიცხოველეს მოქლებულია. ეს ხდება არა იმიტომ, რომ საღმრთო წერილში ნათლად არ იყოს გარკვეული, თუ რა არის კაცის დანიშნულება, არა, ეს წარმოდგება იმისგან, რო ისინი საღმრთო წერი-ლის სიტყვებს ღრმად არ უფიქრდებიან. ისინი ამბო-ბენ, რომ კაცი უნდა იქმოდეს, კეთილსა, უნდა ას-რულებდეს მაცხოვრის მცნებათა, რადგან ეს არის მისი მოვალეობა, ამას ბრძანებს უფალი.

ა რადგან ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორის შეხედულებისაა ის თვის დანიშნულებაზე, ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ამ მარად-ახალ და ცხოველ საგანზე ხშირად ითქვას.

ამ ნაირად, რაში მდგომარეობს ადამიანის ჰეშ-მარიტი დანიშნულება? ნეტარება ღმერთთან ცხოვრებითა, მასთან ცხოველ მხურვალის დაახლოვებულ კავშირის დაპერითა. აი, მოკლედ რომ ვსთქვათ, დანიშნულება კაცისა.

ღმერთი არის თვით-არსი, დამოუკიდებელი და განუსაზღვრელია სახიერი. ის არავისში და არასფერ-ში არ საჭიროებს; ის საესებაა სიყვარულისა, ამის-თვის მან ადამიანი შექმნა არა თვის არსებობის და-სამყარებლად; არამედ მისთვის, რომ მან იარსებოს, იმოქმედოს და ბედნიერ იქმნეს. ნეტარების მისაღწევად უფალმან მისუა მას შესაფერი ნიჭი და საშუალება, სახელდობრ: ღრმად ჩაუნერგა მას ბუნებაში ძლიერი, შეუკავებელი ლტოლვილება ღვთისადმი და უძლეველი სურვილი მასთან ცხოვრებისა. რომელიც ამ ბუნებრივ მოთხოვნილებისამებრ იქცევა, რომელიც ღმერთს უახლოვდება, ის მართლა ნეტარებს. ყველ-დღიური ფაქტები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ კაცი ბედნიერებას ჰპოულობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი თვისს გულს ვინმეს დაუკავშირებს. ყველა ადამიანი გაფაციცებით და მოუსვენარად ეძებს თვის გარშემო თანამგრძნობელ გულსა, თუ იგი ვერ ჰპოულობს სიყვარულსა, მაშინ ის უბედურად რაცხს თვის თავს, მას ვერასფერი, ვერც სწავლა-მეცნიერება, ვერც ხე-ლოვნება, ვერც სისწორით ასრულება თანამდებობისა, ვერც განცხრომით ცხოვრება ვერ ანიჭებს მას კმაყოფილებასა; ის გრძნობს თვის თავს მარტო-ხე-ლად, ყველსგან მივიწყებულად. და მასში მუდამ სამწუხარო გრძნობები ღელავს; ხოლო როცა ადა-მიანი ჰპოულობს მეგობარს, რომელსაც იგი უერთ-დება თვის არსებით, უზიარებს მას თვისს შინაგან მსოფლიოს, აზრებს, სურვილებს, გრძნობებს, -მაშინ ის თვისს თავს სრულ ბედნიერად სთვლის, შეუკარე-ბული პირი იპრაგვს მასში სამხიარულო გრძნობათა. რამდენადაც წარჩინებულია, რამდენადაც ზეობრი-ვად და გონებრივად მაღლა დგას საყვარელი ადამი-ანი, იმდენად უფრო ძლიერი და სრულია ბედნი-ერება, მისგან მონიშებული. წარმოვიდგინოთ ჭაბუ-კი, რომელიც სულიო და გულიო უყვარს ხნიერს,

განათლებულ, ბრძენს და კეთილ აუმიანს, უკანას-კრელი მუდამ იმის ზრუნვაშია, თუ როგორი დამფუ-რობის პირველი ბოროტისაგან, უჩვენებს მას კეთილს, ასწავლის მას, რაც რამ გონივრული და სასარგებ-ლოა, არ აკლებს მას თვის სიყვარულს, იღერს, სურს მისთვის ნამდვილი ბედნიერება. ადგილი მისა-ხვედრია, რას უნდა გრძნობდეს ჭაბუკი იმ დროს, როცა მისი მოკეთე მას თავზე დასტრირალებს. ის თვის კეთილ-მყოფელთან სრულ ბედნიერად გრძნობს თვის თავს; მის გულში ჩექფს ტკბილი გრძნობები; რაც უნდა მას მწუხარება ეწვიოს, შეხედავს თუ არა თვის მოკეთეს, მაშინათვე ჭმუნვარება უქრება და მხიარულდება. აი ამ, ზემო აღნიშნულ, ყველასთვის ცხად ფსიხოლოგიურ კანონის ძალით ადამიანს შე-უძლია იპოვოს ნამდვილი, შეურყყველი, ბედნიერე-ბა ღმერთთან კავშირში, რადგან ღმერთი არის პი-როვანი არსება და მასთან უნაკლულ, სრული და ყოვლად ნეტარი. ღმერთს უყვარს ყველა ადამიანი განურჩევლად, ის მზად არის ყველის შეუკარებეს, მოპენიონს მას თვისი ცხოველ მყოფელი მაღლი და ნეტარ-ყოს იგი. ღვთის მოცემული ბედნიერება წარ-მოსდგება შემდეგ გარემოებათაგან, მზგავსად იმისა, როგორც მეგობრის სულიერი განწყობილებანი გაღ-მოვეცემა ხოლმე ჩენ, მსგავსად იმისა, როგორც სიყვარული საყვარელ ადამიანისა გვახარებს, მსგავსად იმისა, როგორც მეგობარი თვისის სიახლოვით გვი-ნელებს და გვიკრობს მწუხარებასა, სწორედ ისე ცხოვრება უზენაესისა გადადის ადამიანის სულში, ღმერთი ავსებს მას, მიუხლოვდება რა მას, სიხარუ-ლითა მშვიდობიანობით, სიტკბოებით, და ეს სანე-ტარო გრძნობები ართმევენ ქვეყნიურ უბედურებათა მათ დამაღლნებელ და დამლუპველ გავლენასა, ისინი არ აძლევენ ადგილსა მის გულში სამწუხარო გრძნო-ბებას.

მეორედ, ვინც ღმერთთან ცხოვრებს, ის მუდამ უზენაესს მსოფლიოს სკვრეტს, ამ სოფლის ცხოვ-რებას სულ ცოტათი აქცევს ყურადღებას, ანუ თითქმის სრულებით არიდებს მას თვალს. იქედან წარმოდგება ის, რომ ქვეყნიური უბედურება მასზე დიდ გავლენას ვერ ახდენს და თითქმის სრულიადაც ვერ მოქმედებს, ვერ ართმევს მას შინაგან სიხარულს, ვერ არღვევს მის სულის მშვიდობას, ვერ აქცებს მის გულს ტკივილებითა. ყველამ იცის, რომ თუ კაცი რამე საგანზე ღრმად არის ჩაფიქრებული, მაშინ ის

ივიწყებს თვის სწეულებას, ვერ ამჩნევს, რა ხდება მის გარშემო, ვერ გრძნობს ცემას, რომლითაც მას უმასპინძლდებიან. ამ ნაირადვე ის ადამიანი, რომელიც ღმერთთან მტკიცეთაა დაკავშირებული, ყურადღება მუდამ დამყარებული აქვს მის ცხოვრებაზე და ბედნიერებაზე და სხვა უმაღლეს საგნებზე, -მის-თვის შეუმჩნეველი რჩება დატაკება ცხოვრების მდელვარე ზღვის ზეირთებისა. ამ ნაირად, ღმერთთან მყოფი ბედნიერია! ბედნიერია ცეცხლშიღაც, წყალშიაც, ჯურლულშიდაც, მოლერებული იარალების შორისაც; მის ბედნიერებას ვერ სპობს ვერც შიმშილი, ვერც წყურვილი, ვერც სიცხე და ვერც ყინვა, მის ნეტარებას ვერ ულებს ბოლოს ვერც მძიმე სწეულება, ის ბედნიერია სასტიკ დევნის დროსაც. ასეთი ბედნიერება ადამიანისა არის მუდმივ შეუცვლელი და საუკუნო. ღმერთი არ არის კაცუავით ცვალებადი. თვის აზრებში, გრძნობებში და მოქმედებაში, ის მუდამ შეუცვლელია თვის განწყობილებებში და ამიტომ ის თვის სიყვარულს ადამიანისადმი შეინახავს შეუცვლელად-სამუდამოდ. ამასთან ეს კავშირი იქნება საუკუნო. ღმერთმან, საუკუნო არსებამან, მიიღო რა ადამიანი თვის ერთობაში, ამით თვის მადლით მის სიცოცხლეს საუკუნოდ განაგრძობს და აქედან განაგრძობს მის ნეტარებასაც.

შინაგანი, სულიერი ნათელი ღმერთთან ცხოვრებისა გარედაც აშუქებს. კაცი მის პირველ დანახვაზედე რწმუნდება, რომ ის მაღალ ზნეობისაა, რომ მისი სული სავსეა ციურ ტკბილ გრძნობებითა, რომ მასთან ღმერთი სუფეს და უნებურათ მისკენ ილტვის. მისი სიმპატიური სახე მას მუდამ თვალ-წინებას, მის მოგონებაზე სიხარულით ივსება, თითქმის ბოროტნიც კი მის წინაშე თავს იხრიან, ის ავრცელებს თვის გარშემო სითბოს და სიცოცხლესა, ათბობს გაყინულ გულთა, არბილებს ამათ-მედილურ გონებათა; ამხნევებს უძლურთა, ანუგეშებს დაჩაგრულთა. ამ ნაირად, ღმერთთან მყოფი სხვასაც აბედნიერებს და თვითონაც ბედნიერია.

მ თ ა ვ ე მ ს ი

ახლა ვსთქვათ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ღმერთათნ დაკავშირება.

მეგობრდებიან ერთმანეთში მხოლოთ ისეთი პირები, რომლებიც ერთმანეთს ხასიათით ჰგვანან: პატიოსანი ადამიანი პატიოსანს უერთდება და არა გზით არ ჟეიძლება, რომ კეთილის და ბოროტის შორის მეგობრული კავშირი სუფევდეს. სწორედ ამ ნაირადვე, ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირი მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი თვის ბუნებით დაემსგავსება ღმერთსა, როცა იგი მოიპოვებს იმ სულიერ განწყობილებათა, რომლებიც ღმერთში სუფევს. ხოლო დვთის მსგავსებას ადამიანი მოიპოვებს მაშინ, როცა ის თვით სულიერ ძალთა განავითარებს ისე, როგორც მისი ბუნებრივი კანონები მოითხოვს, ანუ როგორც სინიდისი და განცხადება მოითხოვს. შემოქმედმა მისცა ადამიანს სამი უმთავრესი ნიჭი: გონება, გული და ნება, და დაუდგინა მას ვალად-ყველა ეს ნიჭი მიმართოს მისდამი, როგორც ერთად-ერთს დაუშრეტელ წყაროს ბედნიერებისას. კაცმა გონებით უნდა იცნოს თვისი ბუნება, გამოიკვლიოს და შეისწავლოს ქვეყანა, მისი კანონები და ამით იხილოს სიბრძნე, ყოვლად-შემძლებელობა და სახიერობა ღვთისა; მისი გული უნდა აღივსებოდეს წმიდა გრძნობებით შემოქმედის სისრულის ჭრეტითა და მხურვალე ლოცვაში უნდა იწყებდეს აღმა-ფრენას. ნებით მან უნდა განაუმჯობესოს თვისი ბუნება, აღზარდოს თვის სულში სახარებისებრივი სული, დაიმკვიდროს სიყვარული და შვეიდობა. როცა ამ ნაირად ადამიანი თვის სულს განანათლებს, მაშინ ღმერთი თვის სახიერებისა გამო მას მიუაღლოვდება, დაისადგურებს მასში და აღავსებს მას ნეტარებითა.

ევთიმე კაჭაბიძე.



მოწამეთობა.

ორს ოქტომბერს ჩვეულებრივად შესრულდა დღესასწაულობა მოწამეთის მონასტერში. ხალხი ბლომთა იყო თუმცა წვიმაშ ბევრს მოუშალა მისვლა. პირველ ოქტომბერს მობრძანდა ქუთაისიდან ყოვლად. სამლელელო ბესარიონი. ღამის თვეით ცისკარის ილ-სოულებაში თვით ყოვლად სამლელელომ მიიღო მონაწილეობა. მეორე დღეს, ე. ი. 2 ოქტომბერს წირვა შესრულა ყოვლად სამლელელო ბესარიონშა მონასტრის წინამდლვრის არქიმანდრიტი ბესარიონის, კელიშის მონასტრის წინამდლვრის იგუმენი დანიილის და მონასტრის კრებულის თანა მწირველობით. წირვაზე გალობდენ ქართულად მონასტრის ბერ-მონაზონნი. განიცადენის დროს მოკლე სიტყვა წარმოსთვეა დეკ. დავით ღამბაშიძემ. მოგვყავს ეს სიტყვა შემოკლებით: «ჩვენ დარწმუნებული ვართ, სთქვა მამა დეკ. ღამბაშიძემ, რომ თქვენ, პატივცემულნო მსმენელნო აქ მოსულხართ დღეს, რათა პატივი სცეთ წმიდათა მთავართა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ხსენებას და შეევეროთ მათ, რომ იგინი მეობს იყვნენ წინაშე ღვთისა თქვენს კეთილ წარსამართელ საქმეში. კეშმარიტად სანუგეშოა ამდენი მლოცველების ხილვა ამ ტაძარში მოწამეთა საცილებლად. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენში ძლიერ მცირე ნაწილს აქვს შეტყობილი და შესწავლილი წმიდა მთავარ მოწამეთა ცხოვრება და მათი ისტორია საზოგადოლ. უმეტესობამ იცის მხოლოდ ის, რომ დღეს «მოწამეთობა» არის და ეს მოწამენი იწამნენ ვილაცა მურვან ყრუსაგან, მერვე საუკუნეში. ამისთვის საჭიროდ მიმართა პირველად მოგითხრათ მე წმიდათა მთავარ მოწამეთა დავით და კონსტანტინეს მოკლე ისტორია და შემდეგ მოგახსენოთ, თუ როგორ დღესასწაულობენ ჩვენში ტაძრის დღესასწაულებს და როგორ უნდა დღესასწაულობდეს მათ ხსენებას ყოველი კეშმარიტი მლოცველი ქრისტიანე.

საქართველოს ისტორია წარმოგვიდგენს ენით გამოუთქმელ ტანჯვა-წვალებას, რომელიც საქართველოს ერმა გამოსცადა მრავალ საუკუნების განმავლობაში თავისი მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა, თავისი ძვირფასი სამშობლოისა და თავისი ხალხოსნობისათვის. საქართველოს გარეშემო მცხოვ-

რები ხალხი ყოველივე ლონისძიებით ქადაგილისბრძანებულში ჩაეგდო ეს შვენიერი კუთხიერებული ციდევ გაქრისტიანებამდე. მას შემდეგ, რაც საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობა, ამ მხარეს მოსვენება არა ჰქონდა მეზობელ ურწმუნო ხალხთავან. ერთად ერთი ნატვრა სპარსელთა და მოსლებანთა ის იყო, რომ საქართველოში ძირიანად აღმოვეფხვრათ ქრისტეს სარწმუნოება და ქართველი ერი გაემაჲმადიანებიათ. აი სწორეთ აქედან იწყება საქართველოს ერის აუარებელი სისხლის ღვრა. ქართველები თავ-გამეტები ებრძოდენ მოსლებანებს. ამ ბრძოლის დროს ნიადაგ მრავლდებოდა ჩვენში მოწამების რიცხვი, რომელთა რიცხვს სხვა ქრისტიან ხალხთა მოწამების რიცხვი ვერ შეეღრება. მაგრამ ვერც საშიშარმა და სასტიკმა წამებამ, ვერც ურწმუნო მწაგაბელთა ცბიერობამ და ვერც ქვეყნიური დიდების აღთქმამ და დაპირებამ ვერ აღებია ქართველს ერს ხელი ქრისტეს სარწმუნოებაზე. როცა ერთი ურწმუნო ხალხის შემოსევის შემდეგ საქართველოს ერი ცოტათი მოლონიერდებოდა და მოისვენებდა, მეორე სხვა ურწმუნო ხალხი შემოსევილდა და ააოხრებდა საქართველოს, აქცევდა ხალხის ნაღვაწს და ნაშრომს. ამ სახით საქართველოს ერმა მრავალი საუკუნოების განმავლობაში მრავალი აოხრება და დაკცევა გამოსცადა მტერთავან.

სწორეთ ამისთანა უბედური დრო იყო საქართველოსათვის მერვე საუკუნე, როდესაც ცხოვდებდენ წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე.

მაღომეტმა თავიანთ მორწმუნეთა შემწეობით ააოხრა მრავალი მხარენი. ყველა ადგილები ხმელთაშუა ზღვიდგან ინდოეთამდის და ბაკტრიამდის, ინდოეთის ზღვიდგან სომხეთამდის ჩაუარდათ მათ ხელში. 731 წელში შემოვიდა საქართველოში დიდი ჯარით უკანასკნელი არაბეთის ხალიფი მურვან ყრუ, ანუ მურვან მეორე, ჩამომავლობით მშმაიდი.

მურვან ყრუმ ააოხრა ეკკლესიები აღმოსავლეთ საქართველოში და გასწყვიტა მრავალნი ქრისტიანები. შემდგომ მურვანი წამოვიდა დასავლეთ საქართველოში იმერეთში. არცერთი მტრების თავ-დაცემა იმერეთისათვის არ ყოფილა ისეთი ამაოხრებელი ყოვლის მხრით, როგორც ეს მურვანის იმერეთში შემოსევა იყო. პირველად მურვან ყრუ თავს დაეცა არცერთის თავადებს დავითს და კონსტანტინეს. წმიდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე იყვნენ ქართველი — იმერლები, ერთ-ხორცი ძმანი.

დავით და კონსტანტინემ შეჰქრიბეს ჯარი და ლვითი იმედით გაბლვით შეხვდნენ მურვანის ჯარს, დაამარცხეს ის. ამ დამარცხებამ მეტად გააბრაზა მურვანი და იმიტომ მან შეჰქრიბა მთელი თავისი ძალა და გადასწყვიტა ძლიერებით ნაქები თავადების დაჭერა და ტკვედ წაყვანა. მართლაც ალუსრულდა მურვანს გულის წალილი. თავადები დაატყვევეს და შეკრულნი ჩამოიყვანეს ქ. ქუთაისში და წარუდგინეს მურვანს.

— «ვინა ხართ თქვენ, რომელთა გაბედეთ იარალის ხმარება ჩემს წინააღმდეგ, გაბრაზებით ჰკითხა მათ მურვანში. — განა თქვენ არ იცით, რომ მე ვარ ძმისწული დიდი წინასწარმეტყველის მაგომეტისა, რომელსა თაყვანსა სცემენ მთელი არაბეთი და სპარსეთი და რომ ჩემი ძალით დაპყრობილია მთელი დედა-მიწა აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე?» — „ჩვენ ქრისტიანები ვართ, თავმდაბლად მიუგეს მოწამეთ; — ხოლო მაგომეტი, რომელსაც შენ ასე აღიდებ, იყო მატყუარა და ხალხის აღმაოხრებელი, და ყველა, ვინც კი იწინა ის, მოსტყუვდა; ნუ სტყუვდები შენ თვითონ და ნუ დიდობ შენი ძალით. უფალი და ღმერთი ჩვენი იქსო ქრისტე, რომელიც ჩვენ გვწამს, შენზე უძლიერესია: მან დაგვსაჯა ჩვენ ჩვენი ცოდვებისათვის. მაგრამ სულ არ დაგვიტევებს; დაგსჯის შენც და შენს შთამომავლობასაც.»

როცა ეს სიტყვები გაიგონა თავადებისაგან მურვანმა, მოუწოდა იქსო ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელთ და უნდოდა შეეცდინა ისინი მითერებით და ტკბილი სიტყვებით: ჩვენ არ გვინდა დავარღვიოთ აღთქმა, რომელიც მივეცით ღმერთს ნათლისლების დროს. რაც გინდოდეს, ის გვიქნი, მაგრამ არ იფიქრო, რომ ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება დაცსტოვოთ. ამ სიტყვებმა მეტად გააჯავრეს მურვანი, რომელიც შეარცხვინა ძმების ამისთანა გაბედულებამ. გაბრაზებულმა მურვანმა მისცა ისინი მეტად ძნელ წვალებას და მერე ჩაყრევინა ისინი საპყრობილები. ათ დღეს იყვნენ საპყრობილები მნენ მეომარნი უფლისა იქსო ქრისტესნი. მათ ამ ათ დღეში არც საჭმელი ჰქონებიათ და არც სასმელი. მხოლოდ ლოცვილობდნენ ღმერთსა და მასზე დაჭინდათ იმედი. მურვანმა მიუჩინა მათ ეშმაკი და გამოცდილი თავისი მოლები და პერსიელნი მოგვები, რომლებიც ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, რომ როგორმე შეეცდინათ თავადები და მიელებინებინათ

მათვის მაჰმადის სარწმუნოება. მაგრამ მოწამენი მტკიცედ იყვნენ სარწმუნოებაზე, როგორც თავ-და პირველათ.

როცა მოლები და მოგვები ვერას გახდენ, მობრუნდნენ და მოახსენეს მურვანს: „ჩვენ ყოველი-ვე ლონისძიება ვიხმარეთ, რომ შეგვეგონებია მათვის, რათა მათ მიეღოთ მაჰმადის სარწმუნოება, მაგრამ ისინი ისევ შეურყყეველნი დარჩენენ და, ვონებთ, არაფრით იმათი მოქცევა არ შეიძლება: გაიგონა თუ არა ეს, მწვალებელმა ბრძანა, რათა შეასრულონ მათზე სასტიკი დასჯა: «ჯერ ორივე ძმები, ბრძანა მურვანმა, ჩამოჰკიდეთ თავ-დაღმა და ისე სცემეთ და მერმე შეაბით მათ კისერზე მძიმე ქვები და ჩაჰკარეთ კლდიდგან რიონში, და კიდეც აასრულეს ეს ბრძანება. ეს მოხდა ორს ოკტომბერს, 740 წელსა. ისინი ჩააგდეს მდინარე რიონში იმ ადგილის ცოტა ქვემოთ, სადაც უწინ ყოფილა ძველ ქ. ქუთაისში, მათზე აშენებული წმიდა კოსმა და დამიანეს ეკულესია.

მაგრამ უფალმა ღმერთმა, რომელიც ადიდებს მადიდებელთა მისთა და რომელიც მყრობელია მიწისა და წყლისა, დააგვირგვინა ესეთი წვალება წმიდათა მოწამეთა მრავლითა სასწაულებითა. — რა წამს წმიდანი მოწამენი გადაუშევს მდინარე რიონში, ცაში შეიქმნა ქუხილი, რომელმაც ისე შეაშინა მწვალებელი არაბნი, რომ სწრაფად გაიფანტ-გამოიფანტნენ სხვა-და-სხვა ადგილს; მაგრამ ძლიერი ხელი უფლისა ყველგან სდევნიდა მათ: ძრიელმა წვიმამ, სეტყვამ და დიდმა წყალდიდობამ გასწყვიტა მრავალი რიცხვი მურვანის ჯარებისა, რომელნიც დაბინავებულნი იყვნენ ცხენის წყლის, აბაშის და შავი ზღვის ნაპირებზე.

არა ჩვეულებრივმა სინათლეზ და ზეციურმა ხმამ მოიყანა მდინარის ნაპირზე ზოგიერთი მეომარნი მოწაფების ჯარისაგან; იმათ წაასვენეს პატიოსანი გვამნი მოწამეთას ნაჩვენებს ადგილზედ და ჩაასვენეს ძველს სასაფლაო აკალდამაში, რომელზედაც იყო ნახევრობით დანგვრეული ხარების ეკულესია. სამასი წელიწადი ესვენენ აյ წმიდათა ნაწილები და ყოველთვის მათგან ღებულობდნენ მათი მავედრებელნი სასწაულებრივ კურნებას; ბოლოს, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1040 წელსა) წმიდა მოწამენი გამოეცარდნენ ძილში ბაგრატ შეფეხ და უბრძანეს, რომ მას ამოელო წმიდათა ნაწილნი

და გადაესვენებინა ეკკლესიაში. ამიტომ მეფე ბაგრატმა განახლა ეკკლესია, რომელიც ამ სასაფლაოზე იდგა და შემდეგ მასში გადაასვენა წმიდათა მოწამეთა ნაწილნი, რომ უფრო ცხადათ შესძლებოდათ მორწმუნება მათი თაყვანის ცემა. ამ დიდი წვალებისათვის, რომელსაც თან მოჰყვა ამისთანა დიდი დიდება, წმიდანი მოწამენი იწოდებიან მთავარ-მოწამეებათ.

აი, პატივუმულნო მსმენელნო, ვინ იყვნენ წმიდანი მთავარ მოწამენი დავით და კონსტანტინე, ვისგან იწამნენ, როდის და რა დროიდან არის დაწყებული ამ დღის დღესასწაულობა.

ეხლა ჩავაკირდეთ ჩვენს საქუიელს და გავსინჯოთ თუ როგორ გსუებთ პატივს მთავარ მოწამეთა ხსენებას და როგორ ვითხოვთ მათ მეოხებას? მრავალნი მოდიან ამ მონასტერში დღეს, მაგრამ მოდიან, როგორც იტყვიან, „თვალის გასახელათ“, თავიანთ ნაცნობთა სანახავად და ზოგნი, სამწუხაროდ, დროების გასატარებლად და არა სალოცავად. მრავალნი ამ დღეს დროებას გასატარებლად ხარჯავენ თავის შრომით ნაშოვნ ფულს, მაგრამ საკეთილო საქმეზე, მონასტრის და ტაძრის სასარგებლოდ ერთ გროშსაც არ იმეტებენ. ამისთანა მლოცველები თავის თავს ატყუებენ; ისინი არა თუ სათნო ეყოფიან ღმერთსა და მთავარ მოწამეთა, არამედ განარისხებენ მას და მოკლებულ იქმნებიან მათ მეოხებასა ლვთის წინაშე. იქ, საღაც ჭეშმარიტად და გულით პატივსა სცემენ წმიდათა ხსენებას, არ შეიძლება, რომ მლოცველი არ აქებდეს და არ აღიდებდეს შესანიშნავ წმიდათა მისი ტროპარით და კონდაკით. ჩვენში კი არა თუ უსწავლელთა, უმაღლეს სწავლა უამთავრებულთაც კი არ აციან ტროპარ-კონდაკი ამ დიდებულ მოწამეთა. ძველ დროში სასიქაღულოდ და სასიხარულოდ მიაჩდათ შესანიშნავ დღესასწაულთა და წმიდათა ტროპარ კონდაკის ცოდნა და მათი გალობაც. დღეს კი სრულებით დავიწყებულია ესეები ჩვენი, ესრეთ წოდებული «განათლებული» საზოგადოებისაგან. ძველ დროში დიდის შრომით იწერდენ და ხელ ნაწერებით სწავლობდენ შესანიშნავ წმიდათა ცხოვრების ისტორიას და ტროპარ-კონდაკს და დღეს ერთი შაურიც ენანებათ წიგნების სასყიდლათ. დიალ, ფული აქვსთ და არც ეძირებათ, მაგრამ სურვილი არა

აქვსთ. ზეპირად სწავლობენ უბრალო რამეებსა და ხუთი სტრიქონის წმიდათა კონდაკების-დასწავლა კი ეზარებათ. ავილოთ, მაგალითებრ, კონდაკი მთავარ მოწამეთა დავით და კონსტანტინესი:

„ვარდნო შვილენო ზეცისა მტილისანო, რომელნა ფშვით სუნელებასა უდეველთა კიდეთა, და კერნებასა აღმოუდინებთ სურვილით მედლესასწაულეთა თქვენთა, დავით უძლეველიბათა გვირგვინოსანო, და კონსტანტინე ჭურო სიმხნისაო, მაქებელთა თქვენთა სამდელვარენი განსაცდელენი თანა წარხადენით. და ოხითა თქვენითა მომადლენეთ მშვიდობ და. თუ რა მშვენიერი და გულის დამატებობელი სიტყვებია! მათ, თუ ამ სიტყვების დასწავლა გეზარება, ან ვერ შეგძლებია იმის დასწავლა, მაშ შენში არ ყოფილა სიყვარული და პატივისცემა ხსენებულთა მოწამეთა და ვერც შეიძლებ მათ სათნოყოფას. თუ შენ ჭეშმარიტად გულით გსურს მათი პატივისცემა, გამოიკვლიო მათი ცხოვრება, შეისწავლე იგი სავსებით და მიბაძე მათ. შეადარე შენი ცხოვრება, რამდენადც შევეძლოს, მათ ცხოვრებას, შენი სარწმუნოება და ზნეობა მათ მტკიცე სარწმუნოებას და კეთილ ზნეობას. როდესაც ამ ცხოვრებაში მოგადგეს გაჭირვება და განსაცდელი, მოიხსენე წმიდანი მთავარ მოწამენი დავით და კონსტანტინე, რომელთაც ყველაფერი დაითმინეს ამ ჭეშმარიზე და არ ულალატეს ქრისტეს სჯულს. თუ შენ მცირეთაც იქნები მიმბაცევლი მთავარ მოწამეთა, მაშინ იგინი მეოხი იქნებიან შენთვის ზეცათა შინა და მოგანიჭებენ, რაც სასარგებლოა შენთვის; მაშინ ჭეშმარიტი მლოცველი, და მათი ხსენების ჭეშმარიტი, თაყვანის-მცემელი იქნები.



აკაკის თვითშრი უზრუნველი „კრებული“

გამოვიდა აკაკის თვითშრი უზრუნველის „კრებულის“ პირველი და მეორე ნომერი სეკტემბრის და ოქტომბრის თთვეებისა. შინაარსი პირველი და მეორე უზრუნველისა:

№ 1. განყოფ. I. ფუტკარი, ლექსი; 2, მაინც ჩვენია, ლექსი; 3, უბრალო საუბარი, (მე და ის), 4, ნაცარ ქექია, პოემა, 5, ფიქრები ბუხრის წინ, 6, წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები.

განყოფილება II. ბაში აჩუკი, ისტორიული მოთხრობა.

განყოფილება III. ზეპირ სიტყვაობის გამო, შენიშვნა, 7, სოფ. ხიზაბავრა. წარმომადგენელი კ. გვარამაძისაგან, 8, ლეგენდა დავით აღმაშენებელზე, არაკი, ანდაზები და გამოცანები, ჩაწერილი ვიქ. ებანოიძისაგან, 9, სოფ. სხვიტორი, 10, ბროწეულის წყარო, ზღაპარი; 11, შელოცვები, შეკრებილი ნ. ჯანაშიასაგან, 12, განცხადება.

№ 2. განყოფ. I. თ. ნ. დიასამიძის სახსოვრად, ლექსი; 2, უბრალო საუბარი („კრებულის ფოსტა“); 3, მოხუცი და ახალგაზდა, ლექსი; 4, მედია, დრამა; 5, შენიშვნები.

განყოფილება II. ქუთათლის სიზმარი, ისტორიული ოცნება; 7, სიკვდილი, მოთხრობა; 8, სულიკო, ლექსი.

განყოფილება III. 9, შავშეთი, ეთნოგრაფიული, სტატისტიკური და ისტორიული წერილი; 10, განცხადებანი.

უზრუნველის სტატიების ქება საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან ცველა დარწმუნებულია, თუ რა საინტერესო საკითხავია ცველა ნაშრომი აკაკისა. მეორე უზრუნველი მეტის მეტად საინტერესო საკითხავია. ზოგიერთი სტატია წაკითხული აქვსთ ზოგ მკითხველებს, მაგრამ მე დავვეწარი თბილისის რკინის გზის სადგურის ბუფეთში, სადაც კითხულობდენ რამდენიმე ჩვენი ინტელიგენტები და გაკვირვებული ვიყავი მათი აღტაცებითა. მეც კი მაქვს წაკითხული ერთი სტატია «სიკვდილი», მაგრამ იმავე აღტაცებით მოვიშინე ეს სტატია, როგორც პირველ წაკითხვაზე. მოგვყავს მეორე ნომრიდან აკაკის ლექსი, დაწერილი თ. ნ. დიასამიძის სახსოვრად:

ქალაბუნა, ენა ტკბილი,
გაიძვერა მოუბარი
ცველას მოსწონს ცხოვრებაში
და ბევრიც ჰყავს მეგობარი!..

— პირში მთმელი, უბოლიშო,
თავ-მომწონე უშიშარი
ბევრს არ უყვარს, რა თქმა უნდა
და ცოტაც ჰყავს მეგობარი!..

ესეები ცველა ვიცი,
მოვლილი მაქვს მთა და ბარი;
კარგად ვატყობ, სადაც არი
უპირბალო მეგობარი.

— შენც გიცნობდი... ფიცხი იყავ,
თავ-გამწევი, მეტი ჩქარი,
მაგრამ ძირად შემხვედრია
შენებრ წმინდა მეგობარი!..

— ლხინში კარგი, ჭირში მარგი,
პირის-კაცი უტყუარი,
სიმართლის დროს საიდუმლოდ
თვით მტრებისაც მეგობარი!..

საზოგადო ჩვენი საქმის
თანამერმნობი უებარი,
ავის მტერი სიტყვით, ქცევით,
კარგის—გულით მეგობარი.

კარგი მუშა, მეოჯახე,
კარგ ცოლ-შვილზე გადამკვდარი,
მეზობელი მეზობლების
მოყვარული... მეგობარი.

— ერთი ხიდან გაკეთდება
როგორც ჯვარი, ისე ბარი,
ხშირათ ერთ და იმავ საქმეს
მტერიც ჰყავს და მეგობარი.

— და შენც, მმაო, ლალატობაშ
საქმე გიყო საოცარი:
მტრებს შეასხა ფრთები მხოლოდ
და ცრემლებს ღვრის მეგობარი.

მაგრამ მაინც შეუნდვე მტრებს,
მოიგონე მაცხოვარი!
ის, ვინც იყო გაურჩევლად
მტრის და მოყვრის მეგობარი.

„მარტინის“ კო რჩეს ცოდნებია
შორაპნის მაზრიდან).

აგვი თერთმეტი წელიწადი იქნება, რაც შეძლების-დაგვარად ვებრძვი სოფლის მდაბიო ხალხში გავრცელებულ ცრუ მორწმუნეობას და მავნებელ ჩვეულებას, მაგრამ ჩემი ბრძოლა ისე უნაყოფოთ არასოდეს დარჩენილა, როგორც პარასკეობის უქმობის მოსპობის შესახებ დარჩა. როგორც ჩვენი კვეყნის ზოგიერთ სოფლებში, ისე სოფელ ლორე-შაშიაც პარასკეობით მიწას არ მუშაობენ, ანუ, როგორც აქ ეძახიან, მიწას არ ძვრენ, არ მიწარობენ. მიზეზი ამ ახირებული უქმობისა ყოფილა შემდეგი: უწინ რამდენიმე წელიწადს გრთმანერთზედ ყოფილა მეტად ცუდი მოსავალი. სოფლები ერთად შეკრებილან, ბევრი უბრვიათ, მაგრამ მიზეზი ასეთი ღვთის რისხვისა ვერ გაუგიათ. ბოლოს ხალხს ეკულესიაში, მღვდლების თანადასწრებით, ასეთი აღთქმა დაუდევთ! «ლმერთო, თუ მოსავალს მოგვიბრუნებ და შიმშილს უვაცილებ, არც ჩვენ და არც ჩვენმა შვილმა და მომავალმა პარასკეობით მიწა არ ძრას, ხოლო ვინც ეს ფიცი არ შეასრულოს, იყოს შენგან წყეული და შეჩვენებული». ამის შემდეგ შემთხვევით მართლა კარგი მოსავალი მოსული და ეს გარემოება საკმაო ყოფილა, რომ პარასკეობით მიწა არავის ემუშავნა. მე კი, უნდა მოგახსენოთ, პარასკეობით მიწის უძრაობა არაფრათ მომეწონა, რადგან ასეთი უქმობა სჯულის წინააღმდეგიც არის და საზარალოც. სოფ. ლორეშაში სამას კომლ კაცზე საშუალო რიცხვით სამასი ულელი ხარი უნდა ვიანგარიშოთ. ულელი ხარი თესვის დროს უკანასკნელი დღეში ერთი მანეთი ღირს. ჩვენში მთელი აპრილი და მაისი თესვა არის და ამიტომ ზარალი 300 მანეთი X 8, ესე იგი 2400 მ. უნდა ვიანგარიშოთ. ამავე სოფ. ლორეშაში 600 მეტი მუშა კაცი არის. რადგან მთელი ზრტი, აპრილი, მაისი, ივნისი და უმეტესი ნაწილი ულისისაც ისეთი თვეებია, რომ თოხით მუშას საჭე არ გამოელევა, ამიტომ პარასკევის უქმობით მომზარი ზარალი ამ მხრითაც იმოდენი მაინც უნდა იანგარიშოთ, რამდენიც ხარის გაცდენით. ამნაიათ, სოფელს ყოველ წლობით 500 მანეთი ზარალი ისდის. მართალია, მიწის მუშაობას გარდა პარასკეობით სხვა საქმის კეთება აკვეთილი არა აქვთ, მაგ-

რამ ვენახის ბარებ-თოხისა და თესვა-მარგლის დროს სხვა საქმის კეთება შედარგებით ერთობ უმნიშვნელობა. ამის მიხედვით ბევრი ველაპარაკვე ხალხს, როგორც ეკულესიაში ისე კერძო შემთხვევებშიაც, მაგრამ ისინი მაინც ამას ამბობდენ: „ფიცი გვაქვს მიღებული, რომ პარასკეობით არ ვიმიწარებთ, ფიცის გატეხას ნუ გვირჩეო“. ბოლოს ბევრი დავარწმუნე, რომ ეს ფიცი იმ ფიცს გავს, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა წმ. იოანე ნათლის-მცემელი, რომ ამ ფიცის შესრულებით ისინი ღმერთს კი არ ასიამოვნებენ, პირიქით, კიდეც აწყენინებენ, რადგან ამით ისინი არღვევენ მეოთხე მუშაობას, მაგრამ პარასკეობით ყოველთვის კი ვერ გაბედეს. შარშან აღდგომის დღესასწაულებზე მოილაპარაკეს და დაადგინეს ეუქმათ მარტო ნააღდგომევის პირველი პარასკევი. ამ დღეს წირვალოცვა უნდა მოესმინათ და მუშაობით კი არ ემუშავნათ. გარდა ორიოდე ჯიუტი პირისა ყველამ დაიწყო პარასკეობით მუშაობა. მაგრამ ერთმა გარემოებამ ისევ არია საქმე. როგორც გახეთ 『მწყემსშიაც』 ეწერა, წელს ხალხში გავრცელდა ერთი ხელთნაწერი, რომელშიაც სხვა-და-სხვა მწვალებლურ და მაცურ აზრთა მორის ვითომ და თვით ქრისტე ღმერთი ლაპარაკობს: „პარასკევს ნუ იმუშავებთ, ამ დღეს თქვენთვის ვიტანჯე; ვინც ეს კაცის ხელით დაწერილათ სთქვას, იყოს წყეული“ და სხ. ხალხმა ეს აბდა-უბდა მართლა ზეცით მოვლენილ დარიგებათ მიიღო და ხელ-ახლა აკვეთა პარასკეობით მიწის მუშაობა. მთელ მრევლში ასიოდე კომლი გლეხი დარჩა, რომელთაც შეიგნეს თავისი ძველების უსაფუქვლო ფიცის დადება და პარასკეობით მუშაობენ. დანარჩენებს კი ათასი ეჩიჩინო, პასუხათ ამის გეტყვიან: 『პარასკეობით მიწარობა მთლათ ქვემოთში (ზესტაფონს ქვეით) აკვეთილია და ზემოთშიაც ბევრება არ მიწარობენ; მღვდლები სხვაგანაც არიან, მაგრამ არავის აიძულებენ პარასკეობით მიწის ძრას და ფიცის გატეხას』. ეს სიტყვები მე იმის საბუთად არ მიმაჩრია, რომ ამ სენის შესხებ მრევლს ალარაფერი ვუთხრა; მაგრამ საჭირო კი არის ყოველმა შეგნებულმა მღვდელმა თავის სამრევლოში ყურადღება მიაქციოს ყოველ მაზარალებელ და ღვთის საწყენ ჩვეულებას, თორებ ხალხი მართლა ეჭვში შედის, როდესაც ხედავს, რომ ერთსა და იმავე მავნე ჩვეულებას ერთი მღვდელი ებრძვის და მის მოსპობას ცდილობს, მეორე კი გაჩუმებულა, არც აქებს

და არც აძაგებს, ან არა და, პირიქით, ხელს უწყობს
და მის გაძლიერებას ცდილობს.

მღ. სიმონ ჭუმბურიძე.

+ ნეკროლოგი.

6 სექტემბერს 1897 წელსა ცოტა ხნის
ავალ-მუოფობის შემზევე თავის სამშობლო სო-
ფელს ბარში (რაჭის მაზრაში) გარდაიცვალა
მამა დეკანზი ალექსი ჭიჭინაძე. კარგა ძალი
ხნის ნამსახური იუო განსვენებული დეკანზი
ალექსი; მან შეასრულა სწავლა ქუთაისის სასუ-
ლიორო სასწავლებელში 1840 წ. დადა-მამის
სილარიბის გამო სასულიერო სემინარიაში ვეღარ
შევიდა. 1841 წელში, 21 ნოემბერს ხელდას-
ხმელი იქმნა მთავარ დიაკვნად; ამავე წელს 6
მარტს მღვდლებად ეკურთხა ბარის მაცხოვრის
პელესიაზე. აქედან იწყო მან ერთგული და ბე-
ჯითი სამსახური წმიდა ეკვლესისა და ხალხისა.
1858 წ. ივი დაინიშნა ბლადოჩინად, რომელ
თანამდებობასაც ასრულებდა სინდისიერად 1895
წლამდე. ამ წელში კა თავის ნებით და ავალ-
მუოფობის მიზრით დათხოვნილ იქმნა შტატი
გარდა. ამ სახით მ. ალექსიმ რჩ წელიწადი უბი-
ნოდ და კეთილად გაატარა მღვდლელობის და
დეკანზის ხარისხში და 34 წლამდე ბლადოჩი-
ნიბის თანამდებობას ასრულებდა ისეთის და
რაჭის სოფლებში; მედამ დაუღალუვად მუშაკობ-
და განსვენებული გეთილ-ზნეობისა და სარწმუ-
ნოების ამაღლებისა და დაცვისათვის ხალხში.
ბევრს მეცა ინეობდა ივი ასეთში ხალხის მოქ-
ცვისათვის.—მისი გონიერი და გეთილი სიტ-
უმით რაპლენიმ ასმა ასმა მიიღო ქრისტიანო-
ბა და მოინათლა. განსვენებულის ასეთი სასარ-

გებლი მოღვაწეობა მაღლე შეიტყო მისმა მთავ-
რობამ და უხვად დააჯილდოვა განსვენებული
დეკანზი ალექსი სხვა-და-სხვა ორდენებით, თუმ-
ცა ორდენების მიმდევარი არ იყო განსვენებული.
როცა წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორ-
დენი მიიღო, იმ რა თქვა განსვენებულმა: «არ
მინდა, ჩემის სილარიბისაგამო ორდენის ფასის
გარდახდა არ შემიძლია და არც არაფერს გა-
მომადგება!» განსვენებული მამა ალექსი ზნეო-
ბით ძლიერ მაღლა იდგა. იგი იუო მშვიდი, წუნა-
რი, მტრად გულ-ჩვილი, პატიოსანი, ღვთის
მოსავი და სიმართლის მოუვარე კაცი, იგი ხშა-რად
იტყოდა ხოლმე: «ოჟ, სიცრუეს კი ნუ მეტევის
ვინმე და თუნდა ჯოხი დამკრას, რა არის, სთქვან
სიმართლე, ენას ხომ არ მოსჭრიან!» მეტად
სძულდა, განსვენებულს სიცრუე და პარ-მოთ-
ნეობა! იუო უანგარო, არ მისდევდა სიმდიდრეს.
ხშირად გამიგონია განსვენებულისაგან: «არა,
ისევ დარიბი ვიუო, უმჯობესი არის, ვ-ნემ სინი-
ლისი მაწუხებდეს და რაიმე ხინჯი მქონდეს გულ-
მი!» ბურებისაგან იგი იუო დაჯალდებული—
სიმრთელით და ნიჭით, რომელთ ხელი მოუწ-
უეს განსვენებულს სამსახურში. განსვენებულს
ჰქონდა სიტყვა მყვიდრი, მჭევრი და ტკბილი,
ასე რომ, მისს დარიგებას, მეგონებას და ქადა-
გებას ისეთი ვავლენა ჰქონდა მსმენელთა ზედა,
რომ რაც უნჯა გულ-ცივს და უზნეო კაცს მო-
ესმინა მისი სიტყვა და საებარი, უეჭველად და-
იმარხვიდა გულში და მაღლე გაისწორებდა ცუდი
ზნეს და ხასიათ. მ სი მრევლი უკველთვის ში-
შაბდა და სინილისი აწუხებდა, რომ ვაი უ-
დეკანზიმა გაიგონოს ჩემჭედ რაიმე ცუდი და
როგორ-და მეცვდლი. ზოგეროს გულ-გრილს
და ცუდ კაცებს იმოდენათ შეუკარდათ განსვე-
ნებული, რომ განიზრახეს პატივი ეცალ თავისი
კრთილი მოძღვრისათვის, მაგრამ არ იცოდეს,
რით და როგორ! ერთხელ ერთმა ბრიუვ-თამამ-
მა ახალგაზდა ბიჭება წირვის და მოკლე მუსა-
იფის შემდევ ჰქითხა განსვენებულს: «რა უფრო

გიამება, მამაო დეკონიშვილი, რომ მოგართვა თეთი-
ლისის ქალაქიდამ, ერთი მიბრძანე, შენი ჭირი-
მე?» განსვენებულმა გაიღიმა და მოკლედ უპასუ-
ხა: «რასთვი», რისთვის, შვილი! ნუ შესწუხდები
ჩემთვის, მე არაფერზე დაგემდეურები, ოღონდ
შენ ეცადე ჭირიანად იცროვონ, შენს საქმეს გა-
უფრთხილდი და შენს საბრალო დედას უპატ-
რონე გარგათ, შენ ჩემზე უფრო დარიბი ხარ,
შვილო!» მრავალნი მრევლთაგანნი—ქალი და
გაცი დამერთს მუდამ ევფრებოდენ, რომ დეკა-
ნოზმა დიდხანს იცოცხლოს. თორებ ამისთანა
მანუგეშებელს, შემწუნარეს, ჩვენთვის კეთილის
მსურველს, მედამ მლოცველს და დამრიგებელს
მდვდელს და მოძღვანს ჩვენი სოფელი ვეღარ
ედირს ბათ; ერთმა მრევლთაგანმა შარშან წინ
ეყვარესიაში წირვის და დარიგების შემდეგ კიდეც
უთხრა განსვენებულს: „ნეტავი ეხლა თქვენ
იუოთ ოც-და-ათი წლის!» რათაო, კაცი? მეორემ
ჭირხა,—როგორ რათაო, შე საბრალო, ის არა
სჯობს, რომ უფრო დიდს ხანს გავიგონებთ
მაგის ძვირფას და მადლიანს სიტყვას!“ უპასუხა
პირველმა. რამდენათაც შეძლება ნებას აძლევდა,
განსვენებული იუო შემწე უველა შევიწროებული-
სა უმეტესად ობოლთა და ქვრივთა: ხშირად
მინახავს, რომ განსვენებული ცრუმლით და გულ
მხურვალეთ ანუგეშებდა ქვრივთ და მათ შვი-
ლებს — «ნუ გემინა, არ იცი, რომ ობოლის პატ.
რონი და მა არს დმერთი, იცი გაგიჩენსთ
საზრდოს!» გამიგონია აგრეთივე მისგანვე სა-
სულიერო სასწავლებლის მთავრობასთან და
სხვაგანაც ნათქვამი: «თუ ესა და ეს ობოლი ბალ-
ლები არ მიიღეთ, მე საბლადოჩინოდან ფულის
წარმოდგენას დავაგვინებ სწორედ და ამ ობ-
ლებს მავსცემ რამოდენომეს, რომ ისაზრდოვონ
მცირე ხანს მარც!» მის გამო დღეს ბევრს
ობოლს კურსი აქვს შესრულებული სემინარიაში,
აკადემიებში და ქვრივს დედებს აქვთ ლუგმა-
ცური და თავიანთ შვილებს კეთილად ზრდიან
სასწავლებელში! ხშირათ მიღიოდა ხოლო გან-

სვენებული ეპისკოპოსთან სათხოვნელად, რომ
ობლები მიეღოთ სასწავლებელში, თუ რე-
ილეს ეს ბალნები, სულ ვალერად დარჩებინ. ვინ
იცის, ბოლოს : ვაზაკები შექმნენ, რადგან სრუ-
ლიად უსაქმური იქმნებინ და უსაქმო გაცი ბევრს
ცედს ითიქრებს!“ ეტურდა ხოლო აწ უკვე გან-
სვენებულს ეპისკოპოსს გაბრიელს, რომელიც
თანაუგრძნობდა ხოლო მ. ალექსის. დაუკიტური
ძეგლი ააგო და დასტოვა განსვენებულმა თვი-
ის მეცადინეობით და შრომით როგორც თავის
მრევლში, ისე თავისი საბლადოჩინოს მრავალს
სოფლებში — თავის მრევლში ააგებინა ორი
ახალი ქვის ეგბლასია, რომელნიც სოფლის
მშვენებას შეადგენენ, ორივე ეს ეგბლესია საუც-
ხოვოთ არიან მორთული უოველი სამკაულით!
თუმცა დიდი გაჭირვები, და შრომ, შეცვდა გან-
სვენებულს ზოგიერთს სოფლებში ახალი ეგბლე-
სიების აშენების, გადიდების და გამშვენების საქმეში
და სამრევლო სკოლების დაასებისა გამო, მაგ-
რამ მისმა ღრმად საგულისხმო სატუვებმა იქ-
ნია ნაუკთიერი გავლენა უიუტს ხალხზე. შემოუ-
არა თავი უველა გაჭირვებას და შეასრულა თით-
ქმის უაველება. ხალხმა მალე იცნო სარგებ-
ლობა სწავლა-განათლებისა, დარწმუნდა და
განსვენებულმა მოასწრო მხოლოდ სამი სამრევ-
ლო სკოლის გახსნა და დაარსება, სადაც მალე
შეგროვდა თითოეულში 20—30 ბავში. დიდათ
ანუგეშებდა და ამხნევებდა განსვენებული ალექსი
სამრევლო სკოლების მასწავლებლებს — «იმო-
მეთ, ცუადეთ, შვილებო, გაიჭირვეთ საქმე 3 ტარა
ხანს ამ წმიდა საქმისათვის და ღმერთი, რომე-
ლიც უოვლად მოწყალე არის, თქვენს შრომას
არ დააგდებს. თუმცა მეტად მცირო სასუიდელი
გეძლევათ დიდის მრომისთვის, მაგრამ მთავრო-
ბა არ დაჭირებას თქვენს შრომას და სამსახურს,
ასე არ იქნება, შვილო, გაჩნდება რაიმე სამვა-
ლება-წყარო, საიდამაც მიიღებთ სარჩოს, თქვენ
და თქვენი სკოლა ძრიტებით სასარგებლო და
საქმეარი ამ ქვეუნად და ღმერთიც დაგაჭირ-
დოვებთ!»

ესეოდენმა შრომამ, მუცადინეობამ და ოჯახ-
შიაც მოუსვენარმა ჯაფამ, თუმცა მრთელი გაცი
იყო განსვენებელი დეკანოზი, მაგრამ ძრიელ
დაჭილალა და ბოლოს ძრიელაც დასუსტა და
6 სექტემბერს საუგენთდ გამოეთხოვა წუთი სო-
ფიელს მ. ალექსი. უფალმ:ნ დმერთმან სასეფე-
ცელი დაგრძელდოს, ღირსო მამაო დეკანოზო
აჲაქა! საუგენთდ იუს ხსენება შენი!!

მღ. ალექსი ბაქრაძე.

მცირე შეიცვალა.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ
თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემსში“ ამ მცირე
შენიშვნას.

ჰეშირად ვკითხულობთ უურნალ-გაზეთებში ზო-
გიერთ სასწავლებლების წლიურ ხარჯთა აღრიცხვის
ანგარიშს. სწორედ სასურველია, რომ სამეცნიეროს
სასულიერო სასწავლებლის სამმართველო გაზეთ
„მწყემსში“ დაბეჭდავდეს ხსენებული სასწავლებლის
წლიურ შესანახ ხარჯსაც და მით სამღვდელოებას
მისცემდეს შეძლებას ყოველთვის გაიგოს, თუ ამ სასწავ-
ლებლის შესანახად რავდენი ფულია საჭირო და
რაში იხარჯება. ძლიერ კარგი იქმნება ამ ანგარიშ-
თან გამოცხადებულ იქმნებოდეს, თუ თითოეულ
საბლაობაზე რავდენია ერთ შტატიანი და ორ
შტატიანი ეკულესიები და რაოდენია კომლთა რიც-
ხვი მრევლთა. 22 და 23 წარსულ აგვისტოში ახალ-
სენაში მომხდარ სამღვდელოების კრებამ ერთ ხმათ
გარდაწყვიტა, რომ სასწავლებლის ანგარიში დაი-
ბეჭდოს. ამ ანგარიშის დასაბეჭდათ ფულიც გადადვა
კრებამ:*)

დეპუტ. მღ. დიმიტრი ბერულავა.

*) სასწავლებლის წესდების ძალით სასწავლებლის სამ-
მართველო ვალდებულია ესეთი ანგარიშები სავალდებულო
ეპარქიალურ გამოცემებში დაბეჭდვინოს უფასოდ და არა
ტასით. თუ სავალდებულო ეპარქიალური გამოცემა არ არ-
სებობს, მაშინ სასწავლებლის სამმართველო გალდებულია
ცალკე წიგნაკად დაბეჭდოს და დაურიგოს ყველა მღვდლებს
ესეთი სასწავლებლის შესავალ-გასავლის ანგარიშები.

რედ.

**სწავლი და მეცნიერება ქრისტია-
ნობის სასწავლებასა და კუთილ-
ების შეცვალა ზე**

ხმა მოძღვრისა სამწუსოსადმი.

საუბარი მათვა.

ღვთის სიტყვაზე

თესლი იგი არს სიტყვა ღმრთისა
(ლუკ. 8, 11).

რა არის ეკალი ანუ კუროს თავი (Terrie),
რომელმაც დაჩრდილა და გაახმო თესლი? თვით
ისამ ქრისტემ აგვისხნა ეს სამი სიტყვით: ეს არის
ზრუნვა, სიმდიდრე და ამაო სოფლის სიტკბოებანი,
პირველად ზრუნვა. შეილო ჩემო საყვარელო! შენ
თვითონ ამასე ამბობ და მუდამ ამით იმართლებ
თავს, როცა გისაყველურებენ ხოლმე, რომ შენ ძლიერ
ნაკლებად სარგებლობ ჩვენი დარიგებით, და შენი
სულის ცხოვნების საქმეზე სრულებით არ ზრუნავ.
შინაური საქმეები, ოჯახის დაბინავება, მოუსვენარო-
ბა; რომელიც თან მისდევს სარჩოს მოპოებას, ანუ
მამულიდან შემოსავლის მიღებას, ვალების გასტუმ-
რება, ცუდი დრონი, უბედურებანი, მტერი, რომე-
ლიც შენ გაწუხებს, საჩივრები, რომელიც შენ აგი-
ტეხს, ზიანი, რომელიც შენ მოგაყენეს: ყოველივე
ეს შენ გაყონებს ათას გვარ ზრუნვას, რომელსაც
შენ უნდები და დრო აღარ გრჩება, რომ იფიქრო
იმაზე, რაც შენთვის ყველაზე უფრო საჭიროა. აი
ეკალი, რომელიც ახმობს ღვთის სიტყვას.

როცა მე განვთავისუფლდები ყველა ჩემი სარ-
ჯელისაგან, როცა ჩემი სული მოისვენებს, მაშინ
წესიერებაში მოვიყვან ჩემი სინდისის საქმეს და მხო-
ლოდ მაშინ ვიზრუნებ ჩემი სულის ცხოვნების საქ-
მეზე: ასეთი მსჯელობა არ შეფერის ნამდვილ ქრის-
ტიანე კაცს, ასეთი აზრი იბადება ჩვენში ეშმაკისაგან.
ერთ მოუსვენარობას თან მოსდევს მეორე; იმ დროს,
როცა ჩვენ გვინდოდა დაგმტკბარიყავით მოსვენებით,
უფრო ნაკლებ ვსტკბებით. ამ სახით მიღის ჩვენი
სიცოცხლე და შეუტყობლად უახლოვდებით უკა-
ნასკნელ ჟამს; არავითარ სარგებლობას არ ვიღებთ
იმ სიტყვა-დარიგებისაგან, რომელიც ათასჯერ გვესმა

ნია: და ამ წამშიაც კი, როცა თქვენ ისმენთ ჩემს სიტყვას, თითქო, დიდის ყურადღებით, თქვენი მწყემსი, რომელიც თქვენ გეუბნებათ ამ სიტყვას, სთხესავს პურის თესლს ეკალთა შორის; კეთილი აზრი, რომელსაც გავალებს თქვენ ღმერთი, ჩემი სიტყვებით, მალე დაითრგუნება ზრუნვით, მოუსვენ-რობით, საქმეებით, რომელნიც ერთი მეორეს თან გაჰყებიან ყოველ დღეს და რომელზედაც ჩვენ ვზრუნავთ.

შენ, შვილო ჩემო საყვარელო, ყოველ გვარ უბედურების დროს მტკაცედ და შეუშფოთებლად უნდა იდგე; შენი გული მუდამ ღმერთზე უნდა ფიქრობდეს, იმას უნდა ემსახურებოდეს, იმაზე უნდა სასოებდეს, მას უნდა სიხოვდეს ნათელს, კურთხევას, და ყველაზე მომეტებულად ეძიებდეს ღვთის დიდებას და თავისი სულის ცხოვნებას? სწორეთ ასე უნდა მოიქცე. მაგრამ შენ ამას არ ეძიებ. რას ეძიებ შენ? მოსვენებას და კეთილ დღეობას? ამაგბს შენ მხოლოდ ღმერთში ნახავ. შენ სიმდიდრეს ეძიებ? ღმერთმა დაგითაროს, რომ შენ მუდამ სიმდიდრეზე ფიქრობდე და იმაზე მხოლოდ სასოებდე. ეს იქნება ყველაზე უფრო საშიში ეკალი, რომელიც უმეტესად შეგაშფოთებს და შეგაწუხებს. ზოგნი რამდენიც მეტ სიმდიდრეს მოიპოვებენ, იმდენად უფრო მეტს ზრუნვენ, რომ მომეტებული სიმდიდრე შეიძინონ. ასეთი სურვილი არის ეკალი, დანერგილი ჩვენს გულში, ჩვენ სატანჯველად. ზოგნი ძლიერ ცუდათ სარგებლობენ სიმდიდრით. ხშირად ხედავ კაცს, რომ როცა ცოტა შეძლებული იყო, მაშინ უფრო ჭიუიანურათ და წინდახედვით იქცეოდა, უფრო ჭრისტიანულად ცხოვრებდა; როცა კი მომეტებულად გამდიდრდა, მაშინ იგი მიეცა სხვა-დასხვა ვნებათა. ვთქვათ მდიდარი კაცი გაღარიბდა, იმას სიცოცხლე სიცოცხლედ აღარ მიაჩნია. გინდა სიმდიდრე წაგირთმევია მდიდარი კაცისთვის და გინდ მოგიკლავს, სულ ერთია მისთვის. გინდ მდიდარ კაცების ანუ ისეთ პირთათვის, რომელნიც ცდილობენ გამდიდრებას, გიქადაგნია, და გინდ პურის თესლი დაგითესია ეკალთა შორის; ეს ფუჭი შრომაა, ეს ჩვენ გამოცდილებით ვიცით. ყველა იმ დაბრკოლებათაგან, რომელთაგან ღვთის სიტყვა უსარგებლობდ რჩება, თვით უდიდესი და უძნელესი არის სიყვარული სიმდიდრისადმი. ამაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ დროა გავათავო, რადგან რამოდენიმე

სიტყვა მინდა გითხრათ იმაზე, თუ რას უწოდებს უფალი ჩვენი ამაო სოფლის სიტკბოებათ. ნურაფერს ნუ ვიტყვით იმ ხალხზე, რომელიც დილიდან სალამომდე მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ზრუნავენ და სხვა რამეზე სრულებით არ ფიქრობენ. რამდენი ჭრისტიანე კაცია, რომელნიც, თითქო, კარგად ცხოვრებენ, მაგრამ ღვთის სიტყვით კი არ სარგებლობებენ? რისგან არის ის, რომ თქვენ მიუხედავად იმ დარიგებათა, რომელიც თქვენ გესმისთ, ისეთები ჩემით, როგორებიც იყავით? იმიტომ, რომ თქვენი გულის სიღრმეში არიან მრავალი ცუდი გულის თქმანი, რომელიც ხშავენ ყოველივე კეთილს. მაგალითად: მე ათასჯერ მითქვამს შენთვის, რომ სამიკიტნოებში ნუ დადიხარ-თქო; მართალია, შენ ეხლა ისე აღარა სგამ, მაგრამ რატომ არ გინდა სრულებით თავი დაანებო მთვრალობას? შენ გიყვარს თამაშობა; ბევრი გირჩიეს, რომ თავი დაგენებებია ასე ხშირი და მუდამ კარტის თამაშობისათვის, მაგრამ თავი ვერ დაანებე. ბევრი მირჩვია, რომ ხშირად ნუ დადიხარ ამა და ამ საზოგადოებაში-თქო, მაგრამ შენ არ გამიგონე, შენ მომეტებულად ცდილობ, რომ ყოველივე სიამოვნება მისცე შენს თავს და არ გინდა რამე სიამოვნება მოიკლო. მაგრამ ყოველივე ეს სიამოვნება არის ეკალი, რომელიც აწუხებს შენს გულს და ნებას არ გაძლიერ ისარგებლო ღვთის სიტყვით. არც ერთი სიამოვნება არ შეედრება იმ სიამოვნებას, რომელიც ნება-დართულია სარწმუნოებისაგან. ერთი სიტყვით შენი გული და გონება გართული უნდა იყოს მხოლოდ იმითი, რაც ესია-მოვნება ღმერთს და რაც შეადგენს ნამდვილი ჭრისტიანე კაცის სიამოვნებას. შენ ყოველთვის მზად უნდა იყო წინასწარმეტყველთან ერთად სთქვა: განმზადებულ არს გული ჩემი, ღმერთო, განმზადებულ არს გული ჩემი; მარჯუ, უფალო, რამეთუ ისმენს მონა შენი (ფსალ. 107, 1, 1 მეტვე 3, 9).

ნეტარ არს ის, ვისაც ასეთი კეთილი მიდრეკი-ლება აქვს! პირველად: როცა იგი ისმენს ღვთის სიტყვას, ცდილობს, რომ დაუტევოს ყოველი ფიქრი, რომელსაც შეუძლია მოუშალოს მას ღვთის სიტყვის მოსმენა: შემდეგ ისმენს ამ სიტყვას კრძალულებით, ვინაიდგან ეს სიტყვა არის სიტყვა თვით იესო ჭრისტესი, რომელიც ელაპარაკება მას თავისი მოსამსახურის პირით და არა უბრალო კაცისა. ასეთი კაცი არ იძიებს, რომ ნათქვამი სიტყვა შეეხება სხვა ვინ-

მეს და არა მას; იგი ფიქრობს, რომ ის სიტყვა შე-
ეხება თვითონ მას. ის საიდუმლოდ იხსენებს გონე-
ბაში იმას, თუ რამდენ გზით ჩავარდნილა იგი ცოდ-
ვაში, რომლის წინააღმდეგ მიმართულია ხსენებული
სიტყვა; იგი პირობას დებს, რომ ლვთის მადლის
შეწერით ყოველთვის ალასრულებს კეთილ რჩევას,
რომელსაც აძლევს მას მისი მოძლვარი, და ყოველ
შემთხვევაში მზად იქნება განახორციელოს იგი. მის
გულში და გონებაში ლვთის სიტყვა გაგონებისათ-
ავე იღებს ფესვს და სამუდამოდ იგეჭდება მის გულ-
ში. ქადაგების გათავების შემდეგ იგი უფიქრდება
თავის თავს, და ცდილობს იმაზე იფიქროს, რაც
ესმა მოძლვრისაგან. ტაძრიდან გამოსვლის დროს ის
ყურს ავლებს სხვა-და-სხვა საგნებს და საუბრებს,
რომ ლვთის სიტყვა არ დაავიწყდეს. როცა სახლში
მიდის, იგი ესაუბრება შვილებს, ცოლს და შინაუ-
რებს მასზე, თუ რა გაიგონა მან ტაძარში; იგი ცდი-
ლობს შინაურების ყურადღება მიაქციოს მასზე, რაც
მას საყურადღებოდ მიაჩნია და რამაც მომეტებულად
მიიქცია მისი ყურადღება. ამ სიტყვის გაგონების
შემდეგ იგი მუდამ ევედრება ღმერთს, რომ მან მო-
მაღლოს მას ნათელი და ძალა, რომელნიც საჭირო-
ნი არიან, რომ მან შეიგნოს და აღასრულოს ის
სიტყვები, რომელიც ესმა მას ტაძარში.

ეხლა, მმანო ჩემნო საყვარელნო, თვითონეული
ჩვენგანი დაუკვირდეს თავის თავს და შეიტყოს, ასე-
თვე, გულით ისმენს ლვთის სიტყვას და რა სარ-
გებლობა გამოუტანია მას ამ სიტყვიდან? თუ არა-
ვითარიმე სარგებლობა არ გამოუტანია, მაშ შეიტ-
ყოს, რამ შეუშალა ხელი? მე ხელი შემიშალა ამაში
ჩემმა გულმა, რომელიც, მსგავსად დიდი შარისა, ლიაა
ყოველივე ცუდი და უსარგებლო განზრახვათათვის;
ხელს მიშლის ბოროტი სული, რომელიც თავისუფ-
ლად შედის ჩემს სულში, როცა უნდა, იტაცებს ჩემი
გონებიდან, გულიდან და ჩემი ხსოვნიდან ლვთავებრივ
სიტყვას თითქმის იმ წამსვე, როგორც კი მე გავი-
გონე იგი. მე ხელს მიშლის ჩემი მოუფიქრებლობა, ჩემი
დაუდევრობა, ჩემი გულფიცხობა, ჩემი გულ-
ციცობა ზეციცრი საგნებისადმი. მე ხელს მიშლიდა
ამაო წუთი-სოფლის ზრუნვანი; მე მიყვარს სიმდიდ-
რე, სიამოვნებანი, უბრალო და წარმავალ საჭმეების
აღსრულება უფრო უმჯობესად მიმაჩნია ლვთის მსა-
ხურებაზე და ჩემი სულის ცხოვნებაზე; მე პირით
მუდამ ვამბობ, რომ ჩემი ცხოვნების საჭმე ყოველივე
სავაზე უსაჭიროესია, მაგრამ საჭმით კი ამას არ

ვასრულებ; მართლაც ჩემი სულის ცხოვნების საქმე
ყველაზე უკან მიყენია და მასზე სულ ცოტა—დრო
მაქვს ნახმარი.

დიდებულო ღმერთო! მომმაღლე მე კრძალუ-
ლება, რომელიც შეფერის შენს სიტყვას, მიუხედავათ
მისა, თუ ვინ იქნება შენი სიტყვის მქადაგებელი.
რათა მივიღო მე შენი სიტყვა გულს მოდგინებით
და კეთილი სურვილით, რათა იგი სისრულეში მო-
ვიყანო. მომმაღლე მე სული სიბრძნისა, რათა დავი-
მარხო გულში შენი სიტყვა. შეარბილე, ყოვლად
მოწყალეო იყსო, ეს უბრძლური გაქვავებული გულ
ჩემი; გარდაქმნა იგი მგრძნობერად, რომ შეისმინოს
საღმრთო ჰერმარიტებანი. აღმოფხვერ ამ ჩემი უბად-
რუკი გულისაგან ხორციელი და ქვეყნიური მიღრე-
კილებანი, მისი მავნებელნი ენდანი, ყოველივე გუ-
ლით მიღრეკილებანი. რომელნიც აღაშფოთებენ
ჩემს გულს და ხშობენ მასში კეთილ გრძნობათა,
რომელიც კი აღიძრებიან ჩემში შენი სახარების ქა-
დაგების დროს. ლირს მყავ მე, ღმერთო, რათა რო-
ცა მოიწევა სიკვდილის უამი, შევიძლო წარმოგილ-
გინო მე ხაყოფი ჰერმარიტი ქრისტიანული ცხოვრე-
ბისა, და შემდეგ მივიღო შენი მოწყალებისაგან სა-
უკუნო ჯილდო ჩემი სარწმუნოებისა და კეთილი
საქმეებისათვის.

შეწირულებანი.

მღვდლის ფილიპე კანდელაკისაგან ჩვენ მივი-
ღეთ შეძლევი წერილი:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივ
ცემული გაზეთის 『მწყემსის』 საშუალებით გულითა-
ცი მაღლობა გამოუცხადოთ რწმუნებულ ჩემდამო
ნიგორზღვის წმიდი გიორგის ეკკლესიის სამრევლო-
ის პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემდამო
რწმუნებულ ეკკლესიას შემოსწირეს საეკკლესიო
ნივთები, ლირებულნი 90 მან.

ა ი სია, შემოწირულ ნივთებისა:

მთელი შესამოსელი, ლირებული 50 მან., გარ-
დამოხსნა, ლირებული 30 მან. ერთი წყვილი გვირ-
გვინი, ლირებული 10 მან. განსაკუთრებით უგული-
თადეს მაღლობას ვსწირავთ ქუთაისში მოვაჭრეს გი-
გო დავითის ძეს თარგამაძეს, რომელმაც აღნიშუ-
ლი ეკკლესიის სახარება მოაჭედია თავის ხარჯით,
რაზედაც დახარჯა 20 მანეთი და მომავლისთვისაც
კიდევ შეგვპირდა საჭირო საეკკლესიო ნივთების
შემოწირვას».

გ ა ნ ც ხ ა ღ ე გ ა ნ ი.

თ ს ე რ ე ბ ი ა ნ

დ გ ა მ მ ც ე მ უ ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი:

თბილისში, წერა-კითხვის გამარტიულებელი
საზოგადოების წიგნის მაღაზიში, ქუთაისში—
«მწყემსი». ს რედაქციის სტამბაში, ქ. ჭილაძების,
წერეთლების და ვ. ბეჭანეიშვილის წიგნების მაღაზი-
ებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1. საეკლესიო და დეკონის წიგნები.

- ლ ლ ც ა ნ ი ნახატებიანი, გამოცემა
მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უზავ-
რები დღესასწაულების ისტორიული მოა-
ხობით. ამ ლოცვანში არის მთელი
წლს ტროპარ-კონდაკები, სერიბა, პარა-
კლისი ღეთის-მშობლია და ზიარების
ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანში სრულს
თვეთა მეტყველებაზი არიან ჩირთული
საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული
მოთხოვნით და ტროპარ-კონდაკებით. ფ.
ყვით 50 კ. და უყდოთ 40 კ.
- წესი სწორულის ზიარებისა და კულტურული პა-
ნაშენილისა, ფასი 10 კ.
- ცოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსა-
ხეფებელი კონდაკი (კარგის აღით) ფ. . 30 —
- პონდაკი ითანე ოქროპირის წირვისა უყ-
დოთ 40 კ. კარგი ყდით 60 კ.

2. სასწავლო და სასელმძღვანელო წიგნები.

- დარიგება საღმრთო სჯულის წარელებაზე,
რომელიც უწმ. სინოდსაგან მოწონებუ-
ლია როგორც სასწავლო საღმრთო სჯუ-
ლისა საკულტო-სამრევლო და სხვა
პირველ დასწევის სკოლებში—ფასი 30 კ.
- იკივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავ-
ლიზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის
ამაღლება ნიშნებით—ფასი 40 კ.
- დაწყებითი გაცემის საღმრთო სჯუ-
ლის სწავლებაზე, ფასი 15 —
- პარა სასულიერო კონსისტორიათა წეს-
დებულება—ფასი 40 კ.
- მღვდელთათვის სიიდუმლების წესრულების

- დროს საჭარო ს.ხელმძღვანელო წიგნი—
ფასი ყდით 20 კ.
- საქართველოს საკულტო ისტორია ფასი 45 კ.
- მოკლე ლოცვანი 5 კ.
- 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯან-
მრთელობის დაცვაზე.**

- ახალა კარაბაღი, მეორე გამოცემა და-
მატებით, რომელიც განხილული, მოწო-
ნებული და ნება-დაზოულია კავკასიის
საექიმო ჩემევასაც—ფასი 1 კ.
- დარიგება მხედველობის დაცვასა და თვა-
ლების მოვლაზე, ფასი 10 —
- ჩვენებური «ბატონები» და ექიმების ბატი-
ლები და ბაქტერიები 5 კ.
- 4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები**
და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხო-
ვრების აღწერილობი,

 - მცხეთის ტაძარი და წმიდა ნიონ, ქართ.
განმანათლებელი, ფასი 25 კ.
 - ბელათის მონასტრები და ცხოვრების აღ-
წერილობა მეფის დაეგით აღმაშენები 25 კ.
 - შიომის მღვრის მონასტრები და ცხოვრების
აღწერა ლირისისა მამისა ჩვენისა შიომის . 5 კ.
 - ცთავარ-მოწმ. დავით და კონსტანტინე
და მოწამეთის მონასტრები.—ფასი 5 კ.
 - ვარძიის მონასტრები, ფასი 5 კ.
 - მარტვილის მანასტრები 2 კ.

**5. საუფლო და დეკონის-მშობლის დღესასწაუ-
ლების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.**

- დეთის-მშობლის დაბადება, სურათით 2 —
- ტაძრად მიყენება ღეთის-მშობლისა, ფ. . 2 —
- ამაღლება პატიოსნისა და ცხაველს-მკო-
ფელისა ჯვარისა, სურათით 2 —
- შობა უფლისა 2 კ.
- მისამა უფლისა, სურათით.—ფასი 2 —
- ხარება კოვლად ჯგიდა ღეთის-მშობლისა 2 —
- ბზობა სურათით—ფასი 2 —
- აღდგომა სურათით—ფასი 2 —
- მიძინება ყოვლად წმ. ღეთის-მშობლისა, 2 —

მიღება ხელი-მოწერა 1898 ფლისთვის ორ
კვირეულ გამოცემათა ჩართულს

„გაზეპს“^{-ზე}

ქ

რუსულ **«ПАСТЫРЬ»**^{-ზე}

კურნალის ფასი:

12 თებერვალი **«მწყემსი»** 3 გ. | 6 თებერვალი **«მწყემსი»** 2 გ.
— „რუსული „, 3 გ. — „რუსული „, 2 „
— „ორივე გამოცემა 5 „ — „ორივე გამოცემა 3 „
გაზეპზე ხელის-პოტერა შეიძლება როგორც
კურნალიდან, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში
წერა-კარხის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის
მაღაზაში, ბ. შიო ქურუკილისან. ფოთში — დეკა-
ნოზ ბ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩერებეში — ყარა ან
ჩარებესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუშვილთან.
ახალციხეში — საულიერო სასწავლებლის მასწავლე-
ბელ სპირიდონ ან. თავარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბათ გაზეთები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ გ ა ნ ე თ ა დ.

რედაქტორის აქეს კანტორები: ქუთაისში ხანანაშეილე-
ბის სახლებში და კურნალში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთა უურნალის დაბარება შეუძლია
ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

დაგროვები საზოგადოება

„როსტის“

(რუსთი)

ს. ჰერენბურგი. ბოლშია მორსკაა. 37.

პირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 გ.

საზოგადოების მოქმედება:

დაგროვება სიცოცხლისა

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა თჯახის ანუ სა-
კუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, ვაჟთა
სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელათ, გან-
საკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ
დამზღვევებიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგა-
დოების მოგებაში.

რედაქტორ-გამომცემები დეკ. დ. გამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 октября 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

1897 წლის 1 იანვრისთვის **«როსტის»** საზო-
გადოებაში დაზღვეულ იქმნა 141,897 კუპი-
102,694,700 მან.

დაზღვება უბედურ შემთხვევათაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოთ ქარხნებში
მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ
დასაზღვევი შესატანი შემცირებულ იქნება დივი-
ცენდის ჩარიცხვისა გამო.

დაზღვება უცავ მლისაგან.

უცავ მლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონების (შენო-
ბათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

დაზღვება გასაგზავნის საქონლისა

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეოვე გე-
შებისა.

გაცხადება დაზღვევის მსულველთაგან
მიიღება და უცველგვარი ცნობაზი ეგზავნება
გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მოქსკაია, სა-
კუთარი სახლი, № 37): ტცილისში განყოფილებაში
(სერგევის ქუჩა № 6); ქუთაისში აგენტს თ — დს
ილარიონ ა. მიქელაძეს, (ქარვასლის ქუჩა, თავად-
აზნაურობის ბანკის სადგომი) და საზოგადოების
აგენტებისაგან იმპერიის კუველა ქალაქებში.

უცავ უცავ უცავისაგან დასაზღვევი პი-
ლეონგვარი მგზავრებს, როგორც რკინის გზით,
ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სად-
გურსა და ნავთ-სადგურებზედ.

ზ ი ნ ა ს 6 0:

სალიტერატურო განცოლისაზე: ფრიად სასიხა-
რულო ამბავი.—ადამიანის არსებობის მიზანი.—მოწამეთობა.
—აკაკის თვიური უურნალი „კრებული“. — „მწყები“—ს კორ-
აქსპოდენცია შორავანის მაზრიდან. — ნეკროლოგი.— მცირე
უცნიშვნა.—ახალი ამბები და უცნიშვნები.

**სოცლა და მაცნეობება არისტოკრატის სარჩე-
ნოებასა და კოთილ-ზეობაზე:** ხმა მოძღვრისა სამწყსო-
სადმი. საუბარი X ლოთის სიტყვაზე.

— უწირულება.—განკადებანი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.